

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1.

ა) განისაზღვროს:

ა.ა) შემოსულობები 17 000.0 ათ. ლარით;

ა.ბ) გადასახდელები 17 000.0 ათ. ლარით;

ა.გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოსაცემი ტრანსფერი 260.0 ათ. ლარით;

ა.გ.ა) გათანაბრებითი ტრანსფერი 0.0 ათ. ლარით;

ა.გ.ბ) მიზნობრივი ტრანსფერი 260.0 ათ. ლარით;

ა.დ) სარეზერვო ფონდი 150.0 ათ. ლარით.

მუხლი 2.

დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 3.

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის #28/34 დადგენილება.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

პროექტის წარმომდგენი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ირაკლი კაკულია

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია
დანართი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	20 015,1	5 594,9	14 420,2	21 306,9	5 366,9	15 940,0	16 500,0	0,0	16 500,0
გადასახადები	6 282,9	0,0	6 282,9	12 500,0	0,0	12 500,0	12 500,0	0,0	12 500,0
გრანტები	9 869,5	5 492,7	4 376,8	5 626,9	5 366,9	260,0	260,0	0,0	260,0
სხვა შემოსავლები	3 862,7	102,2	3 760,5	3 180,0	0,0	3 180,0	3 740,0	0,0	3 740,0
ხარჯები	16 218,6	1 906,7	14 311,9	16 744,3	3 769,8	12 974,5	16 113,6	0,0	16 113,6
შრომის ანაზღაურება	2 759,8	0,0	2 759,8	2 921,0	349,0	2 572,0	3 045,2	0,0	3 045,2
საქონელი და მომსახურება	2 970,2	0,0	2 970,2	3 815,5	588,0	3 227,5	4 247,6	0,0	4 247,6
პროცენტი	89,5	0,0	89,5	68,7	0,0	68,7	52,6	0,0	52,6
სუბსიდიები	5 689,7	0,0	5 689,7	5 706,9	1 043,2	4 663,7	5 616,8	0,0	5 616,8
გრანტები	1 314,9	0,0	1 314,9	1 266,0	252,0	1 014,0	1 400,0	0,0	1 400,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 089,3	0,0	1 089,3	1 029,1	212,2	816,9	1 076,5	0,0	1 076,5
სხვა ხარჯები	2 305,2	1 906,7	398,5	1 937,1	1 325,4	611,7	674,9	0,0	674,9
საოპერაციო საღდო	3 796,5	3 688,2	108,3	4 562,6	1 597,1	2 965,5	386,4	0,0	386,4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 222,5	4 407,9	-185,4	5 534,9	4 665,1	869,8	260,0	0,0	260,0
ზრდა	4 726,7	4 407,9	318,8	6 034,9	4 665,1	1 369,8	760,0	0,0	760,0
კლება	504,2	0,0	504,2	500,0	0,0	500,0	500,0	0,0	500,0
მთლიანი საღდო	-426,0	-719,7	293,7	-972,3	-3 068,0	2 095,7	126,4	0,0	126,4
ფინანსური აქტივების ცვლილება	-686,6	-719,7	33,1	-1 170,7	-1 068,0	-102,7	0,0	0,0	0,0

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ზრდა	1 213,7	1 085,8	127,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 213,7	1 085,8	127,9	0,0			0,0		
კლება	1 900,3	1 805,5	94,8	1 170,7	1 068,0	102,7	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 900,3	1 805,5	94,8	1 170,7	1 068,0	102,7	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-260,6	0,0	-260,6	-198,4	2 000,0	-2 198,4	-126,4	0,0	-126,4
ზრდა	0,0	0,0	0,0	2 000,0	2 000,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	2 000,0	2 000,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	260,6	0,0	260,6	2 198,4	0,0	2 198,4	126,4	0,0	126,4
საშინაო	260,6	0,0	260,6	2 198,4	0,0	2 198,4	126,4	0,0	126,4
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	20 519,3	5 594,9	14 924,4	23 806,9	7 366,9	16 440,0	17 000,0	0,0	17 000,0
შემოსავლები	20 015,1	5 594,9	14 420,2	21 306,9	5 366,9	15 940,0	16 500,0		16 500,0
არაფინანსური აქტივების კლება	504,2		504,2	500,0		500,0	500,0		500,0
ვალდებულებების ზრდა	0,0			2 000,0	2 000,0		0,0		
გადასახდელები	21 205,9	6 314,6	14 891,3	24 977,6	8 434,9	16 542,7	17 000,0	0,0	17 000,0
ხარჯები	16 218,6	1 906,7	14 311,9	16 744,3	3 769,8	12 974,5	16 113,6		16 113,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 726,7	4 407,9	318,8	6 034,9	4 665,1	1 369,8	760,0		760,0
ვალდებულებების კლება	260,6		260,6	2 198,4		2 198,4	126,4		126,4
ნაშთის ცვლილება	-686,6	-719,7	33,1	-1 170,7	-1 068,0	-102,7	0,0	0,0	0,0

მუხლი 3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 16500.0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი		2016 წლის გეგმა		2017 წლის პროექტი	
	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	20 015,1	5 594,9	14 420,2	21 306,9	5 366,9	15 940,0	16 500,0	0,0	16 500,0
გადასახადები	6 282,9	0,0	6 282,9	12 500,0	0,0	12 500,0	12 500,0	0,0	12 500,0
გრანტები	9 869,5	5 492,7	4 376,8	5 626,9	5 366,9	260,0	260,0	0,0	260,0
სხვა შემოსავლები	3 862,7	102,2	3 760,5	3 180,0	0,0	3 180,0	3 740,0	0,0	3 740,0

მუხლი 4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 12 500.0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი		2016 წლის გეგმა		2017 წლის პროექტი	
	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	6 282,9	0,0	6 282,9	12 500,0	0,0	12 500,0	12 500,0	0,0	12 500,0
საშემოსავლო გადასახადი				4 700,0		4 700,0	3 500,0		3 500,0
ქონების გადასახადი	6 284,6	0,0	6 284,6	7 800,0	0,0	7 800,0	9 000,0	0,0	9 000,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4 369,9		4 369,9	6 380,0		6 380,0	6 900,0		6 900,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0			10,0		10,0	10,0		10,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	75,3	0,0	75,3	120,0	0,0	120,0	120,0	0,0	120,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	20,2	0,0	20,2	40,0	0,0	40,0	40,0	0,0	40,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1 819,1	0,0	1 819,1	1 250,0	0,0	1 250,0	1 930,0	0,0	1 930,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,1		0,1	0,0			0,0		
სხვა გადასახადები	-1,7		-1,7	0,0			0,0		

მუხლი 5. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 260.0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის აიჟმა	2017 წლის პროექტი
------------	-----------------	-----------------	-------------------

გრანტები	9 869,5	5 626,9	260,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9 869,5	5 626,9	260,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	4 376,8	260,0	260,0
გათანაბრებითი ტრანსფერი	4 116,8	0,0	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	260,0	260,0	260,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5 492,7	5 366,9	0,0

მუხლი 6. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 3 740.0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	3 862,7	3 180,0	3 740,0
შემოსავლები საკუთრებიდან	2 066,2	1 750,0	2 530,0
პროცენტები	142,9	0,0	0,0
დივიდენდები	0,0	20,0	0,0
რენტა	1 923,3	1 730,0	2 530,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	1 875,6	1 700,0	2 500,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირაენობა და სხვა) გადაცემიდან	47,7	30,0	30,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	765,3	810,0	710,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	689,8	760,0	700,0
სანებართვო მოსაკრებელი	29,7	80,0	50,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,6	0,0	0,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	166,0	180,0	150,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	493,5	500,0	500,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	75,5	50,0	10,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	75,5	50,0	10,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	718,1	620,0	500,0

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	313,1	0,0	0,0
--	-------	-----	-----

მუხლი 7. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 16 113.6 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	16 218,6	1 906,7	14 311,9	16 744,3	3 769,8	12 974,5	16 113,6	0,0	16 113,6
შრომის ანაზღაურება	2 759,8	0,0	2 759,8	2 921,0	349,0	2 572,0	3 045,2	0,0	3 045,2
საქონელი და მომსახურება	2 970,2	0,0	2 970,2	3 815,5	588,0	3 227,5	4 247,6	0,0	4 247,6
პროცენტი	89,5	0,0	89,5	68,7	0,0	68,7	52,6	0,0	52,6
სუბსიდიები	5 689,7	0,0	5 689,7	5 706,9	1 043,2	4 663,7	5 616,8	0,0	5 616,8
გრანტები	1 314,9	0,0	1 314,9	1 266,0	252,0	1 014,0	1 400,0	0,0	1 400,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 089,3	0,0	1 089,3	1 029,1	212,2	816,9	1 076,5	0,0	1 076,5
სხვა ხარჯები	2 305,2	1 906,7	398,5	1 937,1	1 325,4	611,7	674,9	0,0	674,9

მუხლი 8. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 260,0 ათ. ლარის ოდენობით. მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 760.0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 726,7	6 034,9	760,0
ძირითადი აქტივები	4 726,7	6 034,9	760,0

ბ) განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 500.0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	504,2	500,0	500,0
ძირითადი აქტივები	195,5	100,0	100,0
არაწარმოებული აქტივები	308,7	400,0	400,0
მიწა	308,7	400,0	400,0

მუხლი 9. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 561,9	3 888,8	4 094,8
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3 407,8	3 802,5	4 032,2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების	3 407,8	3 652,5	3 882,2

ფუნქციური ნაწილი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
	საქმიანობის უზრუნველყოფა			
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	150,0	150,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	144,1	76,3	62,6
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	10,0	10,0	0,0
702	თავდაცვა	100,3	119,0	119,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	561,6	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	561,6	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	1 454,5	1 830,7	370,0
7045	ტრანსპორტი	1 454,5	1 830,7	370,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 454,5	1 830,7	370,0
705	გარემოს დაცვა	2 056,9	2 736,6	1 620,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	809,8	890,5	1 155,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	1 247,1	1 846,1	465,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5 055,2	5 810,5	2 574,5
7061	ბინათმშენებლობა	1 111,7	650,5	538,0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 930,0	3 808,3	966,5
7064	გარე განათება	772,8	1 191,7	910,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	240,7	160,0	160,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	569,2	582,1	615,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	159,3	142,0	150,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	409,9	440,1	465,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	4 308,1	4 473,8	4 003,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2 047,2	2 412,4	1 955,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 902,8	1 802,9	1 838,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	138,3	120,0	50,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	219,8	138,5	160,0
709	განათლება	2 249,0	2 232,5	2 298,0

ფუნქციური ნაწილი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 134,8	2 104,5	2 170,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	114,2	128,0	128,0
710	სოციალური დაცვა	1 038,6	1 105,2	1 179,3
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	473,3	445,5	467,4
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	201,2	220,0	230,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	364,1	439,7	481,9
	სულ	20 955,3	22 779,2	16 873,6

მუხლი 10. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 126.4 ათ. ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.0 ათ. ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0.0 ათ. ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება – 126.4 ათ. ლარის ოდენობით.

2. მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საინვესტიციო პროექტებისათვის „ექსკავატორ-მტვირთავის შეძენა“ (2008 წ.), „საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების შეძენა“ (2008 წ.), „ქ. ფოთში რუხადის, ვაჟა-ფშაველას, გორგასლის ქუჩების რეაბილიტაცია“ (2009 წ.), „ქალაქ ფოთში ჭავჭავაძის ქუჩის (ინდუსტრიულ ზონასთან დამაკავშირებელი გზა), ჭავჭავაძის ჩიხისა და მდინარე რიონის გასწვრივ (ბაზრის მიმდებარე ტერიტორია) გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია“ (2011წ.) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრედიტო ვალდებულებები (კრედიტების ძირითადი თანხა) მუნიციპალური განვითარების ფონდისადმი 2017 წელს შეადგენს 126.4 ათ. ლარს.

მუხლი 13. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები

განისაზღვროს სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები 10.0 ათ. ლარის ოდენობით. თანხები გამოიყოფა შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე.

მუხლი 14. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 150.0 ათ. ლარის ოდენობით.

2. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

3. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე ბრძანების პროექტი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურთან შეთანხმებით წარედგინება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 15. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 260.0 ათ. ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 136.0 ათ. ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 119.0 ათ. ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 3.0 ათ. ლარი;

დ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2.0 ათ. ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 16. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. სხვა მარეგულირებელი ნორმები

1. ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში ბავშვთა კვებისათვის დაწესდეს 1 ბავშვზე 1.80 ლარი დღეში, რომელიც განისაზღვრება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული მენიუთი.

2. განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების განმახორციელებელი იურიდიული პირები, კერძოდ:

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები (ტრანსფერი) – არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი;

ბ) მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამა – საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით რეგისტრირებული (სათანადო ლიცენზიებისა და ნებართვების მქონე) სამედიცინო დაწესებულებები;

გ) საქალაქო ავტობუსების სუბსიდირების პროგრამა – შპს „ფოთი ქალაქტრანსპორტი“;

დ) მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა - საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით რეგისტრირებული (სათანადო ლიცენზიებისა და ნებართვების მქონე) აფთიაქები.

3. წარმომადგენლობითი ხარჯებიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თანხის გამოყოფა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურთან წინასწარი შეთანხმებით.

4. წარმომადგენლობითი ხარჯებიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თანხის გამოყოფა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურთან წინასწარი შეთანხმებით.

5. სხვა გაუთვალისწინებელი კულტურული და სპორტული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული ხარჯების მუხლიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურთან წინასწარი შეთანხმებით.

6. გადანაწილება და საერთო სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან თანხის ასახვა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

7. უფლება მიეცეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურს კონკრეტულ შემთხვევებში პროგრამის შიგნით გადაანაწილოს და ცვლილებები შეიტანოს შესაბამისი ღონისძიებებიდან გამომდინარე, გარდა გადანაწილებისა და საერთო სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან თანხის ასახვის განხორციელებისას – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

8. უფლება მიეცეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურს განსაზღვროს (დაამტკიცოს) კონკრეტული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებადი ღონისძიებების ან/და ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი თანხების ზღვრული ოდენობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

9. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებული ღონისძიებების, პროგრამების და პროექტების განხორციელებაზე მონიტორინგი და ზედამხედველობა განხორციელონ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

10. მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება (პროგრამული კოდი 06 04) არ ვრცელდება იმ ოჯახებზე (ბენეფიციარებზე), რომლებიც სარგებლობენ საქართველოს

მთავრობის 2014 წლის 31 მარტის #262 დადგენილებით (დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა) დამტკიცებული პროგრამით, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პროგრამის მოქმედების პერიოდში.

თავი II

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 18. ქალაქის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. ამიტომ, აღნიშნული მიმართულება ქალაქის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ასევე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გარდა, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. კერძოდ, ქუჩების ორმული შეკეთების, ქუჩებისა და სანაპირო ზოლის მიმდებარე გზის მოხრეშვა-დაგრეიდერების (მოვლა-აღდგენა), ნიტრო-საღებავით ქუჩების დახაზვის, შუქნიშნების მოვლა-პატრონობის, ბაზართან არსებულ ხიდზე ტროტუარის მოწყობის, ს/სახლების სახურავების

მიმდინარე სარემონტო სამუშაოების, მრავალბინიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაციის, დაზიანებული ლიფტების მოვლა-პატრონობის, ჭარბი ნალექებისა თუ სხვა შემთხვევისას დაგროვილი წყლის ამოტუმბვის, ბაზართან არსებულ ხიდზე განათების მოწყობის, გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-პატრონობის, განათების ქსელისა და სატუმბო სადგურების ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურების, სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობის, სანიაღვრე არხების შლამისა და ნატანისაგან გაწმენდის, მათი აღდგენისა და მოვლა-პატრონობის, დასუფთავების ღონისძიებების, უმეტვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლირების, ცენტრალური პარკის შესასვლელი არკების კაპ. რემონტის, ცენტრალურ პარკში ნარდისა და შაშის შენობის მოწყობის, ნაბადის უბანში გ. ფირცხალავას სკვერის მოწყობის, არაგვისპირელის ქუჩაზე მინი სპორტული მოედნისა და ბუნგალოს მოწყობის, უპოვართა სასადილოს სამზარეულოს კაპ. რემონტის, ქალაქის შემოსასვლელებში სიმბოლიკის კაპ. რემონტის, რუსთაველის რკალის მიმდებარე პარკში შადრევნის მოწყობის, ქალაქის ტერიტორიაზე სასმელი წყლის შადრევნებისა და ფანტანების მოწყობის, არსებული სკვერების, პარკების და შადრევნების მოვლა-შენახვის, გამწვანების სამუშაოები და სხვა.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები) (პროგრამული კოდი 03 01)

ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. ბოლო წლების განმავლობაში ქალაქში გზების მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიუხედავად, გზების გარკვეული ნაწილი მოითხოვს სარეაბილიტაციო, კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთების სამუშაოებს და გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. 2017 წელს დაგეგმილია ქუჩების ორმული შეკეთების, ნიტრო-საღებავით ქუჩების დახაზვის, ქუჩებისა და სანაპირო ზოლის მიმდებარე გზის მოხრეშვა-დაგრიედერების (მოვლა-აღდგენა), შუქნიშნების მოვლა-პატრონობის, ბაზართან არსებულ ხიდზე ტროტუარის მოწყობის სამუშაოები.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში არსებული ლიფტების, საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის და ს/სახლების სახურავების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, მრავალბინიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაციის სამუშაოები, ჩამდინარე წყლების მართვის, არსებული ქსელის მოვლა-შენახვის, გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია-რეაბილიტაციის, გარე განათებისა და სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობის და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება და მანქანა-ცხოველების იზოლირება.

1.2.1 ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქალაქში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობასა და განვითარებას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავები მთლიანად აზიანებენ ჭერს და მაღალ სართულზე განთავსებულ ბინებს. დაზიანებული წყალ-კანალიზაციის ქსელებიდან სარდაფებში ჩადინებული წყალი და ფეკალური მასები აზიანებენ კორპუსების საძირკვლებს და ქმნიან ანტისანიტარიას. დაზიანებული წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების გამო, ნალექით სველდება მთლიანი ფასადები, რაც იწვევს ნალესის ჩამოშლას და სახლების ფასადები ვიზუალურად არაესთეტიური ხდება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში დაზიანებული ლიფტების რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის სამუშაოების დაფინანსება.

1.2.2 გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი

გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია-რეაბილიტაციის სამუშაოები, რაც გულისხმობს გარე განათების, საცხოვრებელი სახლებისა და ძეგლების მინათების და სხვა ტიპის განათების ელექტროენერჯის ხარჯების დაფინანსებას, დაზიანებული და ამორტიზებული სანათების შეცვლის და ბაზართან არსებულ ხიდზე განათების მოწყობის სამუშაოების დაფინანსებას.

1.2.3 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს საიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, ქალაქის ქუჩების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლება და ნარჩენების მართვის სხვა ღონისძიებები, ასევე დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება.

ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდება ქალაქში არსებული ხიდებისა და ცენტრალური გზების ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

1.2.4 უმეტეაღყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქალაქის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე უმეტეაღყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია და მათი სპეციალურ სადგომზე გადაყვანა. ამით უზრუნველყოფილი იქნება მაწანწალა ცხოველების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

1.2.5 სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები, ასევე განხორციელდება სანიაღვრე არხების შლამისა და ნატანისაგან გაწმენდა, აღდგენა, მოვლა-პატრონობა და სატუმბო სადგურების ელ. ენერჯის ხარჯების ანაზღაურება.

1.3 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაციის, სადღესასწაულო ქალაქგაფორმების, დიდების მემორიალის, სკვერების, პარკების, ქალაქის ქუჩებისა და მრავალბინიანი ს/სახლების გამწვანებული ეზოების მოვლა-პატრონობის, ბუნგალოს, ცენტრალურ პარკში ნარდისა და შაშის შენობის, რუსთაველის რკალის მიმდებარე პარკში შადრევნის, ქალაქის ტერიტორიაზე სასმელი წყლის შადრევნებისა და ფანტანების მოწყობის, სხვადასხვა ობიექტების კაპ. რემონტის, გამწვანების სამუშაოები და სხვა ღონისძიებები.

1.3.1 კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 01)

პროგრამის შესაბამისად, 2017 წელს განხორციელდება ქალაქის მოსახლეობისათვის საახალწლო-სადღესასწაულო განწყობის შექმნის მიზნით, ქუჩების მორთვა სხვადასხვა სადღესასწაულო აქსესუარებით. ასევე განხორციელდება სადღესასწაულო აქსესუარების დემონტაჟის, შენახვა-დასაწყობების, სახელმწიფო დროშების შექმნის, რადიო-საათის მოვლა-პატრონობის, დიდების მემორიალის, სკვერების, პარკების, ქალაქის ქუჩების, მრავალბინიანი ს/სახლების გამწვანებული ეზოების, ცენტრალური პარკების მოვლა-პატრონობის, ცენტრალური პარკის შესასვლელი არკების კაპ. რემონტის, ცენტრალურ პარკში ნარდისა და შაშის შენობის მოწყობის, ნაბადის უბანში გ. ფირცხალავას სკვერის მოწყობის, არაგვისპირელის ქუჩაზე მინი სპორტული მოედნისა და ბუნგალოს მოწყობის, უპოვართა სასადილოს სამზარეულოს, ქალაქის შემოსასვლელელებში სიმბოლიკის კაპ. რემონტის, რუსთაველის რკალის მიმდებარე პარკში შადრევნის მოწყობის, ქალაქის ტერიტორიაზე სასმელი წყლის შადრევნებისა და ფანტანების მოწყობის სამუშაოები და სხვა.

1.3.2 ქალაქის გამწვანება (პროგრამული კოდი 03 03 02)

აუცილებელია ქალაქის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება მოსახლეობისათვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად. მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ქალაქის მწვანე საფარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხე-მცენარეების, ბუჩქებისა და ყვავილების შეძენა, ხე-მცენარეების შეწამვლა, გასხვლა, ქალაქში არსებულ სკვერებში განადგურებული მწვანე საფარის აღდგენა და დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, მწვანე საფარის მუდმივი განახლება.

-

1.4 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 03 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში არსებული სასაფლაოების მდგომარეობის მოწესრიგება, სასაფლაოზე საფლავების დადგენილი წესით გამოყოფა, დაკრძალვა და სარეგისტრაციო ფირფიტის დაყენება. სასაფლაოზე გასასვლელების, ბილიკების და არსებული ქონების მოვლა-პატრონობა, სასაფლაოს ტერიტორიაზე საფლავის შემოფარგვლის, საფლავის ძეგლის მოპირკეთებითი სამუშაოების, სხვა საჭირო ობიექტების დადგმა-დამონტაჟების საკითხების დარეგულირება. სასაფლაოს ეფექტური მართვისათვის საჭირო მომსახურების ახალი სახეებისა და მათი საფასურის ოდენობის შესახებ წინადადებების მომზადება.

2. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს პრიორიტეტს საქართველოს სახელმწიფოს არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ვინაიდან სახელმწიფოს განვითარება კულტურული, რელიგიური და ახალგაზრდული სულისკვეთებისა და სპორტული მიღწევების

გარეშე წარმოდგენელი იქნებოდა. გამომდინარე აქედან, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვასა და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო განაგრძობს სპორტული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

2.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის საჭიროა პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერ სპორტსმენთა წახალისება.

2.1.1 სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის ძირითადი არსია ქალაქში სპორტის შემდგომი განვითარება, ქალაქის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, სააერთაშორისო ტურნირები), სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდისათვის ხელშეწყობა, „სპორტი ყველასათვის“ პროექტების რეალიზაცია, ქალაქის ნაკრები გუნდების წევრებისათვის მაღალი დონის სასწავლო და საწვრთნელი პირობების შექმნა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება და ანტიდოპინგური ღონისძიებების განხორციელება, სპორტული ობიექტებით, სპორტული ფორმითა და ინვენტარით უზრუნველყოფა, სპორტსმენთა ტრანსპორტით მომსახურება, სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება,

ადგილობრივი ტურნირების და პირველობების ორგანიზება და ჯანსაღი მომავალი თაობის ჩამოყალიბება.

2.1.2 ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

სპორტული ღონისძიებების ჩატარება ხელს შეუწყობს სპორტის შემდგომ განვითარებას კრივში, რაგბში, ჭიდაობაში, ფეხბურთში, კალათბურთში, ხელბურთში, საბრძოლო ხელოვნებაში, ცხენოსნობაში, შაშში, წყალსათხილამურო სპორტში, საბაიდარო და კანოეთ ნიჩბოსნობაში. ქ. ფოთის ღია პირველობაში მკლავჭიდში, შაშში, ჭადრაკსა და ნარდში მონაწილეობას მიიღებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. სპორტული ღონისძიებების ჩატარების პერიოდში დაჯილდოვდებიან გამარჯვებული სპორტსმენები თასებით, მედლებით, დიპლომებით და სხვა ფასიანი საჩუქრებით. წლის საუკეთესო სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება მოხდება ფულადი ფორმით.

სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 1600 სპორტსმენი და 10000 მაყურებელი.

აღნიშნული პროგრამით ასევე გათვალისწინებულია ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები.

2.1.3 ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ფეხბურთი სპორტის ერთ-ერთი წამყვანი სახეობაა, რომლის განვითარება ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ფეხბურთელების კვალიფიკაციის ამაღლებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას. ქალაქში არსებობს ერთი პროფესიონალური კლუბი ფეხბურთში შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“.

2.1.4 სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია-მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 05)

ქალაქში არსებობს რამოდენიმე მინი სპორტული მოედანი, რომლებსაც აქტიურად იყენებენ ახალგაზრდები. პროგრამის ფარგლებში 2017 წელს გათვალისწინებულია მინი სპორტული მოედნების კაპ. რემონტი. აღნიშნული მინი სპორტული მოედნების მოწესრიგება, ხელს შეუწყობს ახალგაზრდების თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას.

2.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მოსახლეობის კულტურული მიმართულებით გააქტიურებისათვის დაფინანსდება კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები. რაც ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის ღირსეულ გაგრძელებას.

2.2.1. სახელოვნებო სკოლები (სასწავლებლები) (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქალაქი აფინანსებს სახელოვნებო სკოლებს, რომლის მიზანია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგებისათვის თანაბარი პირობების შექმნა, მოსწავლეთა მიერ შესაბამისი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების შესწავლა, სამხატვრო და ნატიფი ხელოვნების პროფესიების სწავლება, წვლილის შეტანა ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ტრადიციების შენარჩუნებასა და აღორძინებაში, ქართული ხალხური ფოლკლორის პროპაგანდა, კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა და წარმოჩენა.

2.2.2 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)

სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებით მოხდება ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენა და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, დაჯილდოება, მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლების, ჯგუფების, სტუდიების, მოყვარულთა გაერთიანებების წარმოჩენა და განვითარება, მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლება, საკუთარი ინდივიდუალურობის, ნიჭის გამოვლენა, სკოლისგარეშე დროის საინტერესოდ ორგანიზება, თემატური

ინფორმაციების მოძიება-დამუშავება, სააზროვნო და სოციალური უნარების განვითარება, სკოლისგარეშე შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება, ხელოვნების სხვადასხვა დარგების გაცნობა და შემოქმედ ბავშვთა წარმოჩენა.

2.2.2.1 სხვა გაუთვალისწინებელი კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02 01)

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება გულისხმობს საბიუჯეტო წლის დასაწყისში დაუგეგმავ და აუცილებლად განსახორციელებელ კულტურულ ღონისძიებებს, რომლებიც მოთხოვნისა და შესაბამისი კომპეტენტური დასკვნების (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების კოორდინაციის სამსახურის დასკვნა) საფუძველზე დაფინანსებულ იქნება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2.2.3 საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ქ. ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი“ (პროგრამული კოდი 05 02 03)

თეატრის ძირითად ფუნქციებს, მიზნებსა და საქმიანობის საგანს წარმოადგენს მსოფლიო და ეროვნულ თეატრალური ღირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხოვანი სპექტაკლების დადგმა, აგრეთვე სხვა ტიპის წარმოდგენებისა და შემოქმედებითი პროექტების განხორციელება, თეატრალური ხელოვნებისა და ზოგადსაკაცობრიო იდეალების პროპაგანდა, მოსახლეობისათვის კლასიკური და თანამედროვე თეატრალური ნამუშევრების გაცნობა, ეროვნული და მსოფლიო თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება, თეატრალური ტრადიციების აღორძინება და განვითარება.

2.2.4 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საგამოფენო დარბაზი“ (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამა ემსახურება ქართული მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურისა და უძველესი ტრადიციების ფართო პროპაგანდას. ხელს უწყობს ქალაქში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებას, მოსახლეობის ესთეტიკურ აღზრდას. უზრუნველყოფს ნიჭიერ შემოქმედთათვის სათანადო პირობების შექმნას და მათ მაქსიმალურ გამოვლენას, გამოფენების, გამოფენა-გაყიდვების, აუქციონების, კონკურსების, პერსონალური გამოფენების და შემოქმედებითი შეხვედრების ორგანიზებას და მოწყობას.

2.2.5 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 05 02 05)

პროგრამის ძირითადი არსია მკითხველთა დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისათვის, შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მოსახლეობის მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ისე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკაშორისო აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთაცვლის საშუალებით, მოსახლეობის ყველა ფენის მომსახურება საბავშვო ან მასობრივ ბიბლიოთეკებში ფონდების შექმნის მიზნით და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა.

2.3 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძარი) (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძრის მინათების, გარე განათების და საჭიროებისამებრ გარკვეული სამუშაოების დაფინანსება.

2.4 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი“ (პროგრამული კოდი 05 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ქმნის ქალაქის ტურისტული შესაძლებლობების საინფორმაციო ბანკს, მუდმივად ახდენს სრულყოფასა და განახლებას. ასევე დაგეგმილია სხვადასხვა ტურისტულ ცენტრებთან თანამშრომლობა, რათა ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით მოხდეს საქართველოში ტურიზმის განვითარება და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის ფარგლებში, ზაფხულის პერიოდში, ქმნის სამაშველო ჯგუფებს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სანაპირო ზოლში განახორციელებს სამაშველო ღონისძიებებს.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით დიდი ყურადღება დაეთმობა ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენას და მათი შემოქმედებითი უნარის ზრდის ხელშეწყობას.

3.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 04 01)

ქალაქის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვთა მეთვალყურეობა, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლების დონის, შესაბამისი პროგრამების, სასწავლო და მეთოდური მასალების განსაზღვრა.

ა(ა)იპ „სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“ არის 15 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ერთობლიობა, სკოლამდელი ასაკის დაახლოებით 2100 აღსაზრდელით და 365 მომსახურე პერსონალით.

გაერთიანება უზრუნველყოფს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში ბავშვთა სრულფასოვანი სამჯერადი კვების ორგანიზაციასა და ზამთრის პერიოდში ბაღების საწვავით მომარაგებას. ბავშვები იმყოფებიან ექთნის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ.

ქალაქში დღეისათვის რეაბილიტირებულია 6 საბავშვო ბაღი, სადაც დადის 1130 აღსაზრდელი, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 53%-ს შეადგენს. ამ დაწესებულებებში შექმნილია ესთეტიკურად ლამაზი, უსაფრთხო და კომფორტული გარემო მომავალი თაობის სრულფასოვანი აღზრდა-განვითარებისათვის.

3.2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი“ (პროგრამული კოდი 04 02)

აღნიშნული პროგრამა ემსახურება მოსწავლეთა ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო, ეკოლოგიურ, მხატვრულ და ესთეტიკურ კუთხით განვითარებას, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას და სწავლებას, კულტურული დონისა და ეროვნული სულის ამაღლებისთვის ზრუნვას, ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენასა და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობას, მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლების, ჯგუფების, სტუდიების, მოყვარულთა გაერთიანებების, საერთო-შემეცნებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას, საგნობრივი წრეების შექმნას მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით._

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის მხარდაჭერა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას.

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

სოციალური დაცვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სოციალური დახმარება როგორც ფულადი, ასევე სხვადასხვა სოციალური შეღავათების დაწესების გზით, რაც გააუმჯობესებს შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობას. განხორციელდება მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის და სოციალურ ეკონომიკური კვლევების ორგანიზება და სხვა ღონისძიებები.

4.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“) (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის მიზანია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა-შენარჩუნება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება, ანტირაბიული, მალარიის, ტრანსმისიური დაავადების გადამტანი მწერების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება, ნარკომანიის, თამბაქოს, ალკოჰოლიზმის, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის პროპაგანდა, მუშაობა მიზნობრივ ჯგუფებთან, მოსახლეობაში პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო სამუშაოების წარმოება.

4.2. ჯანდაცვის სხვა პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

ჯანდაცვის სხვა პროგრამები მოიცავს მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამას, მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამას, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირების პროგრამას, გინეკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევისა და პროფილაქტიკის პროგრამას, სასმელი, სარეკრიაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევის პროგრამას.

4.2.1 მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობა(პროგრამული კოდი 06 02 01)

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ხელმისაწვდომობას, სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსებას, მათ შორის ძვირადღირებულ ოპერაციებს, გამოკვლევებს.

პროგრამის მართვა:

მოქალაქემ დახმარების მისაღებად უნდა მიმართოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურა, ფორმა №100, მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომართვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პირადობის მოწმობის ასლი.

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა მოხდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურში. განხილვისას გათვალისწინებული იქნება ავადმყოფის ასაკი, დაავადების სირთულე და ქრონიკულობა, ავადმყოფის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული სრული თანხა, საანგარიშო პერიოდში შემოსულ განცხადებათა რაოდენობა და დამტკიცებული ლიმიტი.

ავადმყოფისთვის გადასარიცხი თანხა განსაზღვრულია არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პაციენტს საბიუჯეტო წლის განმავლობაში დახმარება შეიძლება გაეწიოს არაუმეტეს ორჯერ.

თანხები გამოიყოფა შესაბამისი კომისიის დასკვნისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

4.2.2 მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)

აღნიშნული პროგრამით განხორციელდება მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური რესურსი გადანაწილებულია:

- ა) მოსახლეობის ერთჯერადი (70-ლარიანი) დახმარება 70.0 ათ. ლარი;
- ბ) განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა დახმარება 30.0 ათ. ლარი.

პროგრამის მართვა:

მოქალაქემ დახმარების მისაღებად უნდა მიმართოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა №100, პირადობის მოწმობის ასლი, ავთიაქიდან წარმოდგენილი ანგარიშფაქტურა ან/და მედიკამენტის ღირებულების შესახებ ამონაწერი.

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა მოხდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურში. განხილვისას გათვალისწინებული იქნება დაავადების სირთულე და ქრონიკულობა, ავადმყოფის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის (უბნების მიხედვით) მიერ

წარმოდგენილი დასკვნა, ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული სრული თანხა, საანგარიშო პერიოდში შემოსულ განცხადებათა რაოდენობა.

